საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№869 2019 წლის 19 აპრილი ქ. თბილისი

ბავშვებში ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების ადრეული გამოვლენისა და მართვის ღონისძიებების გატარების შესახებ

1. 2-იდან 7 წლამდე ბავშვებში მრავალინდიკატორული პოპულაციური კვლევის (MICS) შედეგებზე რეაგირებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით:

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ:

ა.ა) უმოკლეს ვადაში საქართველოს მთავრობის სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოადგინოს შესაბამისი ცვლილებები „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილებაში შესაბამის მიზნობრივ ჯგუფებში ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე;

ა.ბ) ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცვლილებების ძალაში შესვლამდე სისხლში ტყვიის მაღალი კონცენტრაციის მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის უსასყიდლოდ უზრუნველყოს

სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების მიწოდება რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის „სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და სამინისტროს მიერ სხვა განსაზღვრული შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების“ კომპონენტის ფარგლებში, სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე;

ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს 2-დან 7 წლამდე ბავშვებში მრავალინდიკატორული პოპულაციური კვლევის (MICS) შედეგების მიხედვით 10 მკგ/დლ-ზე მეტი ტყვიის დონის მქონე ბავშვების საცხოვრებელი გარემოს მიმდებარე ტერიტორიაზე ტყვიის წყაროს იდენტიფიცირების მიზნით (ჰაერი, წყალი, ნიადაგი) სინჯების აღება და ტესტირება, კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი ღონისძიებების გატარება, ასევე ამ ბავშვების საცხოვრებელ გარემოში სურსათისმიერი ტყვიის რისკის შეფასება საკვებ პროდუქტებში (მაგ.: სუნელები, საღებავის შემცველი ტკბილეული, რძე და სხვ.);

გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებმა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჩართულობით, 2 თვის ვადაში საქართველოს მთავრობის სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოადგინონ ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების კონტროლის ერთიანი მულტისექტორული ხანგრძლივვადიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ტყვიის ყველა სავარაუდო წყაროს კომპონენტთან დაკავშირებული ნაწარმის უსაფრთხოების შესახებ

ევროდირექტივების შესაბამისად შესაქმნელი დოკუმენტების ნუსხა და მათი შემუშავების გეგმა-გრაფიკი;

დ) ეთხოვოთ საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებს ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამოქმედო გეგმის წარმატებით განსახორციელებლად ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა;

ე) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ღონისძიებები განხორციელდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებისათვის „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

2. ამ განკარგულების შესრულების კოორდინაცია განახორციელოს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 აპრილის №828 განკარგულებით შექმნილმა საქართველოში გარემოსა და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმის საკოორდინაციო საბჭომ.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე, ამასთან, განკარგულების პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი გავრცელდეს 2019 წლის 2 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**